ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482204711**

თარიღი:**16/02/2022**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის N 31 1037 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის N31 1037 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქცია დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბაღანიჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი